მკითხველს ალბათ აინტერესებს, რა სიმძლავრე და გამომუშავება იგეგმება ენგურის ხეობაში? თუ წარმოდგენილ ვარიანტებს განვიხილავთ, საშუალოდ დამატებით სამი-ოთხი ჰიდროელექტროსადგური უნდა აშენდეს, რაც ჯამში 1500-2000 მეგავატს მოგვცემს; **საშუალო წლიური გამომუშავება,** დაახლოებით **8,5 მილიარდი კილოვატსაათის ტოლფასი იქნება. თუ ამ ენერგიას სულ მცირე 3 ცენტად გავყიდით (და ეს რეალურია) საშუალო** წლიური შემოსავალი 255 მილიონი **დოლარი იქნება. ვისი იქნება ეს შემოსავალი? — აი ეს არის ყველაზე მთავარი საკითხია;** საქართველოს ბიუჯეტის ან საქართველოს მოსახლეობის თუ იმ უცხოელების, ვინც დღესაც ფუფუნებაში ცხოვრობენ. კი რათქმა უნდა მშენებლობას ფული სჭირდება, ე.წ. ინვესტიციები. მაგრამ მიგვაჩნია, რომ სწორი საფინანსო პოლიტიკის შემთხვევაში საკონტროლო პაკეტი, ანუ აქციების 51%, კონსტიტუტიციის მე-3 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე ქართველი ხალხის საკუთრება უნდა გახდეს.

ოფიციალურ წრეებთან (პროექტის ავტორებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან და ა.შ.) შეხვედრისას ხშირად ისეთი შეხედულება რჩება, **რომ მათთვის მთავარი მოსახლეობა კი არ არის, არამედ ე.წ. ინვესტორი. ანუ როგორ უფრო იაფად გამოვიდნენ იმ ხარჯებისაგან, რაც მოსახლეობის და ბუნების კომპენსაციას**

## როგორ უნდა დაფინანსდეს მშენებლობა

1. **მოხდეს მშენებლობის აქციონირება.**

2. უფლება მიეცეს თითოეულ მოქალაქეს თავისი დანაზოგებით შეიძინოს აქციები, (მათ შორის ყველა იმ სპეციალისტს და მუშას ვინც მშენებლობაზე იმუშავებს, ანუ შეუძლია თავისი ხელფასიდან ყოველთვიურად შეიძინოს აქციების გარკვეული რაოდენობა).




კვალიფიციური ექიმი მასწავლებელი, ბუღალტერი, ფინანსისტი, ეკონომისტი, ჟურნალისტი, პოლიციელი, მეცნიერი და ა.შ.).

## რა შეღავათები უნდა გაეწიოს ადგილობრივ მოსახლეობას

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ყველაზე მეტად ზარალდება მესტიის რაიონის მოსახლეობა. კარგავენ სახლებს, საკარმიდამო ნაკვეთებს, სასაფლაოებს, ეკლესიებს, შეგუებულ ლამაზ ბუნებას, მიკრო კლიმატს, ხე-ტყეს, მაგისტრალურ და სოფლებს შორის უმოკლეს მისასვლელებს, სოციალურ ინფრასტრუქტურას. ღირს თუ არა ყოველივე ამის სანაცვლოდ აშენდეს წყალსაცავიანი ჰიდრო-ელექტროსადგურები? ამ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება, რამაც პასუხი უნდა გასცეს დასმულ კითხვას.

როგორც ევროპაში, აზიაში და ამერიკაშია მიღებული, იქ სადაც ენერგეტიკული დაინტრესებაა (ნავთობის მოპოვება, კაშხლის და წყალსაცავის აშენება, ატომური სადგურის მშენებლობა) **პირველ რიგში ითვალისწინებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, კერძოდ ერთჯერადად უნაზღაურებენ ზარალს ისე, რომ ნებისმიერი ოჯახის უკეთესი საცხოვრებელი პირობები გარანტირებულია და მეორეც სურვილის შემთხვევაში მაღალანაზღაურებადი დასაქმება დაკმაყოფილებულია.** ცხადია